დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2

2023 წლის 17 იანვარი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 17 ოქტომბრის №25 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/10/2022, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.156.016456) და დანართი N1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 1 იანვრიდან;

დმანისის მუნიციპალიტეტის პაატა

საკრებულოს თავმჯდომარე ყულიაშვილი

დანართი N1

დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესები

1. ქალაქ დმანისში, 9 აპრილის ჩიხზე გაუქმდეს ცალმხრივი მოძრაობის რეჟიმი ბაზრიდან ფოსტის მიმართულებით წმინდა ნინოს ქუჩის კვეთამდე და აღდგეს ორმხრივი მოძრაობა.
2. ქალაქ დმანისში, ცხრა აპრილის ჩიხზე აიკრძალოს N_2 და მეტი კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება.